



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 157

2022 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

“ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 ივლისის N144 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N894730, 11.08.2022წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება “ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 ივლისის N144 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი „ა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2. კონკურსით მოთხოვნილი საკონკურსო დოკუმენტაცია იტვირთება GMUS-ში 2022 წლის 1 აგვისტოდან 30 აგვისტოს 18:00 საათამდე.“
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი